შპს “ჯი თი კომპანი“ (ს/N 405104961)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ჯი თი კომპანი“ (ს/N405104961)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საერთო დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯი თი კომპანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტის შესაბამისად („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 01 აგვისტოს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია

დირექტორი გიორგი თოფურია ----------

მთავარი ბუღალტერი გიორგი გოჩიაშვილი ----------

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საერთო დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯი თი კომპანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტის შესაბამისად („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 01 აგვისტოს. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია

დირექტორი გიორგი თოფურია ----------

მთავარი ბუღალტერი გიორგი გოჩიაშვილი ----------

შპს „ჯი თი კომპანი“ (ს/N405104961)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	**12/31/2022**	**12/31/2021**
ამონაგები	2,855,406	3,026,506
თვითღირებულება	1,984,796	2,249,149
საერთო მოგება	**870,610**	**777,357**
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	**343,071**	**184,873**
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	178,327	72,236
მომსახურების ხარჯები	74,923	37,773
საიჯარო ქირა	38,925	32,712
მივლინების ხარჯები	17,020	13,159
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	8,591	5,605
ბანკის მომსახურების საკომისო ხარჯები	7,439	9,086
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17,846	14,302
მიწოდების დანახარჯები	**120,600**	**154,512**
შრომის ანაზღაურება	119,388	133,612
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1,182	18,321
მიწოდების სხვა ხარჯები	30	2,579
საოპერაციო მოგება	**406,939**	**437,972**
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	63,159	71,527
ხარჯები საკურსო სხვაობიდან	18,483	10,884
საპროცენტო ხარჯები	12,864	20,052
შედეგი:	**31,812**	**40,591**
არასაოპერაციო სხვა შემოსავალი	20,227	26,013
არასაოპერაციო სხვა ხარჯი	12,489	55,182
შედეგი:	**7,738**	**(29,169)**
მოგება დაბეგვრამდე	**446,489**	**449,394**
პერიოდის მოგება	**446,489.00**	**449,394.00**
განსაკუთრრებული შემოსავლები და ხარჯები:		
განსაკუთრებული შემოსავალი		4,710
განსაკუთრებული ხარჯი	1,911	3,805
პერიოდის მოგება-ზარალი	**444,578**	**450,299**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 01 აგვისტოს

დირექტორი გიორგი თოფურია ----------

მთავარი ბუღალტერი გიორგი გოჩიაშვილი ----------

შპს „ჯი თი კომპანი“ (ს/N405104961)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	2,855,406	3,026,506
თვითღირებულება	1,984,796	2,249,149
საერთო მოგება	**870,610**	**777,357**
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	**343,071**	**184,873**
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	178,327	72,236
მომსახურების ხარჯები	74,923	37,773
საიჯარო ქირა	38,925	32,712
მივლინების ხარჯები	17,020	13,159
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	8,591	5,605
ბანკის მომსახურების საკომისო ხარჯები	7,439	9,086
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17,846	14,302
მიწოდების დანახარჯები	**120,600**	**154,512**
შრომის ანაზღაურება	119,388	133,612
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1,182	18,321
მიწოდების სხვა ხარჯები	30	2,579
საოპერაციო მოგება	**406,939**	**437,972**
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	63,159	71,527
ხარჯები საკურსო სხვაობიდან	18,483	10,884
საპროცენტო ხარჯები	12,864	20,052
შედეგი:	**31,812**	**40,591**
არასაოპერაციო სხვა შემოსავალი	20,227	26,013
არასაოპერაციო სხვა ხარჯი	12,489	55,182
შედეგი:	**7,738**	**(29,169)**
მოგება დაბეგვრამდე	**446,489**	**449,394**
პერიოდის მოგება	**446,489.00**	**449,394.00**
განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები:		
განსაკუთრებული შემოსავალი		4,710
განსაკუთრებული ხარჯი	1,911	3,805
პერიოდის მოგება-ზარალი	**444,578**	**450,299**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 01 აგვისტოს

დირექტორი გიორგი თოფურია ----------

მთავარი ბუღალტერი გიორგი გოჩიაშვილი ----------

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	77,286	44,751	53,420
გადახდილი ავანსები	857	597	131
	78,143	**45,348**	**53,551**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	161,702	18,157	311,092
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	484,457	619,928	373,848
მარაგები	690,038	593,659	577,953
გაცემული სესხები		0	13,000
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6,561	13,227	35,293
	1,342,758	**1,244,971**	**1,311,186**
მთლიანი აქტივები	**1,420,902**	**1,290,319**	**1,364,737**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1,776	1,776	1,776
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,141,658	832,684	445,220
გადაფასების რეზერვი			
	1,143,434	**834,460**	**446,996**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	150,470	275,966	402,330
ანარიცხები			
	150,470	**275,966**	**402,330**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9,635		
მიღებული ავანსები	1,384	97,376	86,088
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	77,445	35,384	411,428
საგადასახადო ვალდებულებები	35,680	40,441	
გადასახდელი პროცენტი			17,895
გადასახდელი ხელფასები			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,854	6,692	
გადასახდელი დივიდენდი			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**126,998**	**179,893**	**515,411**
მთლიანი ვალდებულებები	**277,468**	**455,859**	**917,741**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**1,420,902**	**1,290,319**	**1,364,737**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 01 აგვისტოს

დირექტორი გიორგი თოფურია ----------

მთავარი ბუღალტერი გიორგი გოჩიაშვილი ----------

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	77,286	44,751	53,420
გადახდილი ავანსები	857	597	131
	78,143	**45,348**	**53,551**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	161,702	18,157	311,092
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	484,457	619,928	373,848
მარაგები	690,038	593,659	577,953
გაცემული სესხები		0	13,000
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6,561	13,227	35,293
	1,342,758	**1,244,971**	**1,311,186**
მთლიანი აქტივები	**1,420,902**	**1,290,319**	**1,364,737**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1,776	1,776	1,776
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,141,658	832,684	445,220
გადაფასების რეზერვი			
	1,143,434	**834,460**	**446,996**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	150,470	275,966	402,330
ანარიცხები			
	150,470	**275,966**	**402,330**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9,635		
მიღებული ავანსები	1,384	97,376	86,088
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	77,445	35,384	411,428
საგადასახადო ვალდებულებები	35,680	40,441	
გადასახდელი პროცენტი			17,895
გადასახდელი ხელფასები			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,854	6,692	
გადასახდელი დივიდენდი			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**126,998**	**179,893**	**515,411**
მთლიანი ვალდებულებები	**277,468**	**455,859**	**917,741**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**1,420,902**	**1,290,319**	**1,364,737**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 01 აგვისტოს

დირექტორი გიორგი თოფურია ----------

მთავარი ბუღალტერი გიორგი გოჩიაშვილი ----------

ფულადი სახრების მოძრაობის რეესტრი	**2022**	**2021**
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	**18157**	**311092**
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3333317	3148562
სესხის მიღება	834465	1073993
სხვა ფულადი სახსრების შემოდინება	30437	67890
ფულის შემოსვლა საოპერაციო საქმიაობიდან	**4198219**	**4290445**
ფულადი სახსრების გადინება		
მომწოდებლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	2199189	2647444
შრომითი გასამრჯელოები	220142	155225
სესხის სახით გადახდილი ფულადი სახსრები	908951	1125498
პროცენტებზე გადახდილი ფულადი სახსრები	12864	37052
გადასახადები	604913	502930
ბანკის მოსახურების საკომისიო	7439	9086
სხვა ფულადი სახსრების გადინებები	91274	97474
სულ ფულადი სახსრების გადინება	**4044772**	**4574709**
არასაოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების მოძრაობა		
დადებითი საკურსო სხვაობა	1287	2248
უარყოფითი საკურსო სხვაობა	11043	10702
სხვა არასაოპერაციო შედეგი	146	217
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**161702**	**18157**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	დამფუძნებლის შენატანი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	განაწილებულიდივიდენდები	სულ კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრისათვის	**1776**	**0**	**0**	**1776**
2019 წელი				
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)	0	136768	0	136768
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**1776**	**136768**	**0**	**138544**
2020 წელი				
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)	0	308452	0	308452
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1776	445220	0	**446996**
2021 წელი				
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)		450300		450300
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი			62836	62836
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	1776	895520	62836	**834460**
2022 წელი				
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)	0	444578	0	444578
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	0	0	135604	135604
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1776	1340098	198440	**1143434**

შპს „ჯი თი კომპანი“ (ს/N405104961)

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ბაგები, ი. უჩანეიშვილის ქ., N34

კომპანიის დამუძნებელი პარტნიორები არიან: გიორგი თოფურია, 01008023266 **60%**

მამუკა ტუხაშვილი, 35001037750 **40%**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა; წყალგაყვანილობის, გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემის მონტაჟი;

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი გიორგი თოფურია, (პ/N 01008023266)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

2.2 შესაბამისობის განცხადება.

2.2 შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს,

2.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

სპეციფიკური აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

2.4 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ჯგუფი	მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	2-5
საოფისე ავეჯი	10
სატრანსპორტო საშუალებები	10
შენობებები	20
ნაგებობები	20
ინვენტარი	2-5

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

2.5 საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც

საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

2.5 არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები

როგორც წესი, განვითარების ხარჯები წარმოადგენენ კომპანიისთვის მნიშვნელოვან შიგნით წარმოქმნილ არამატერიალურ აქტივებს. ინდივიდუალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია პროექტის სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) შესაძლებელია განვითარების ხარჯების ზუსტად შეფასება, (ბ) დადასტურებულია

პროდუქტის ტექნიკური შესაძლებლობები და (გ) ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა და უნარი დაასრულოს არამატერიალური აქტივი და გამოიყენოს ან გაყიდოს იგი.

კომპანიის მიერ მართულ ბიზნესის სახეობაზე და კომპანიის მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, გონივრულად დადასტურდება ის ფაქტი, რომ არამატერიალური აქტივი წარმოქმნის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, პროდუქტის ბაზარზე გასვლამდე მცირე ხნით ადრე. აღნიშნულ დრომდე გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება აღდგენას.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ძირითადად დაკავშირებულია სუბიექტის შიგნით განვითარებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და დაპატენტებულ საავტორო გადაცემებსა და პროცესებთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარებიან ზემოთ მითითებულ, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკას.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.7 განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდუდესი აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელსა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულადი სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება

იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და იმ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნილ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებაც ხდება.

2.8 განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს სასარგებლო მომსახურეობის 10-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.9 პროცენტები და დივიდენდები

საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები. ამგვარი ფულადი ნაკადები წლების მანძილზე უცვლელად უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. მსს ფასს _ საწარმოს უფლება აქვს, გადახდილ პროცენტებს, ასევე მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებს მიანიჭოს საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან ისინი მონაწილეობს მოგების ან ზარალის განსაზღვრაში. მეორე მხრივ, გადახდილი პროცენტების, მიღებული პროცენტებისა და დივიდენდების კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც საფინანსო და საინვესტიციო ფულადი ნაკადები, შესაბამისად, რადგან ამგვარი ფულადი ნაკადები ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებია, ან ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება.

საწარმოს უფლება აქვს, გაცემულ დივიდენდებს მიანიჭოს საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის კლასიფიკაცია, რადგან ამგვარი ფულადი ნაკადები ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებია. მეორე მხრივ, გაცემული დივიდენდები ასევე შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების კომპონენტი, რადგან დივიდენდები გაიცემა საოპერაციო ფულადი ნაკადებიდან.

2.10 ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი, მათ შორის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, გაცემული სესხები, შეზღუდული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ბანკში, მოქცეულია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასების კატეგორიაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახადი, მათ გარდა, რომლის გაყიდვასაც გეგმავს კომპანია უახლოეს მომავალში. ისინი შეტანილია მიმდინარე აქტივებში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც არამიმდინარე აქტივები.

სესხები და დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები და შედეგად აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. მოგება და ზარალი შესულია მოგება-ზარალის უწყისში, როდესაც სესხები და დებიტორული დავალიანებები არ არის აღიარებული ან გაუფასურებულია, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

2.11 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.12 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

2.13 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტარნზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

წელი	**USD**	**EUR**	**RUR**
2022	2.7020	2.8844	3.2581
2021	3.0976	3.5040	4.1479
2020	3.2766	4.0233	4.4031

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

2.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%. 2016 წელი ეს არის ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომლის დროსაც მოგების გადასახადის გაანგარიშება მოხდა ამ პრინციპით.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.15 **კაპიტალი**

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას.

2.16 დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.17 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.18 **დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები**

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.19 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.20 აქტივების გაუფასურება, (გარდა მარაგისა) საწარმო მის აქტივებს გარდა მარაგისა, რომელიც გაუფასურებაზე ამოწმებს, მხოლოდ მაშინ თუ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები, რომლებიც მოითხოვება, რომ შეფასდეს ყოველის საანგარიშგებო თარიღისათვის. აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგისა, ფასდება ინდივიდუალურ დონეზე.

2.21 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით.

თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება

შენიშვნები

შენიშვნა 1. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მცირეფასიანი ინვენტარი	სხვა ძირითადის საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 18 წელი (საბოლოო ნაშთი)	152	0	1459	0	0	0	0	**1611**
2019 წელი								
შემოსვლა	5268	2595	38	445			1369	**9715**
გასვლა	0	0	0	0	0	0	0	**0**
ცვეთა	382	75	427	48			73	**1005**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	**5038**	**2520**	**1070**	**397**	**0**	**0**	**1296**	**10321**
31 დეკემბერი 2020 წელი								
შემოსვლა	1408	5636	171	458	40216		2	**47891**
გასვლა	0	0	0	0	0			**0**
ცვეთა	1004	672	540	111	2368		97	**4792**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	5442	7484	701	744	37848	0	1201	**53420**
31 დეკემბერი 2021 წელი								
შემოსვლა	4405	3584	0	0	13502	11838	0	**33329**
გასვლა		508			35883		2	**36393**
ცვეთა	1263	1339	438	165	2303	0	97	**5605**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	8584	9221	263	579	13164	11838	1102	**44751**
31 დეკემბერი 2022 წელი								
შემოსვლა	720				57792			**58512**
გასვლა	933	3881	83		12489			**17386**
ცვეთა	1681	1676	165	183	3565	1184	137	**8591**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	6690	3664	15	396	54902	10654	965	**77286**

3 სავაჭრო მოთხოვნები

წელი	*2022*	*2021*	*2020*	*2019*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	484,457	619,928	373,848	132,488
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	***484,457***	***619,928***	***373,848***	***132,488***

4 საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

5 შენიშვნა 4. ფული და ფულის ექვივალენტები

წელი	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
ფული და ფულის ექვივალენტები	82796	311092	18157	161702
სულ	***82796***	***311092***	***18157***	***161702***

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

შენიშვნა 5. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

წლების მდგომარეობით კომპანიის მიღებული სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

წელი	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
მოკლევადიანი სესხები	81096	0	0	9635
გრძელვადიანი სესხები	0	402330	275966	150470
სულ	***81096***	***402330***	***275966***	***160105***

შენიშვნა 6. კრედიტორული დავალიანება

წელი	***2022***	***2021***	***2020***	***2019***
კრედიტორული დავალიანებები	77445	35384	411428	218413
სულ:	***77445***	***35384***	***411428***	***218413***

გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული ავანსები საანგარიშო პერიოდში დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხება ავანსად მიღებული თანხები, რომელიც ბალანსზე არის წარმოდგენილი ვალდებულებების მუხლში. მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება.

7. ამონაგების აღიარება.

საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას.

8. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში,

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე (მსს ფასს 11.20 განყოფილება)

საპროცენტო შემოსავლების ფორმირება ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შედეგად.

წელი	*2022*	*2021*	*2020*	*2019*
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	63153	71527	63062	3803
სულ:	***63153***	***71527***	***63062***	***3803***

წელი	*2022*	*2021*	*2020*	*2019*
ზარალი საკურსო სხვაობიდან	18483	10884	109275	9463
სულ:	***18483***	***10884***	***109275***	***9463***

9. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო

ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ პერსონალის ხარჯები მთლიანად არის ასახული საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის, მივლინების და ცვეთის ხარჯები.

10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არდაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არდაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

საერთო კონტროლის ქვეშ ორგანიზაციები შედგება კომპანიის პარტნიორი კომპანიებისგან, რომლებიც კონტროლდება უშუალოდ ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციის მიერ.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“), მათ შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ფორმით მიღებულ გასამრჯელოს

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით

(მაგალითად, მშობელი საწარმოს ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

წელი	*2022*	*2021*	*2020*	*2019*
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	178327	72236	30957	14293
შრომის ანაზღაურება	119388	133612	74441	34897
სულ:	***297715***	***205848***	***105398***	***49190***

11. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 01 აგვისტოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

12. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული

შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

13. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტრორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების

სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა. კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის და მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძვნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში.